



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 782 წლის 14 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ჰ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

2. ეთხოვოთ:

ა) სსიპ – საზოგადოებრივ მაუწყებელს თანდართული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების უზრუნველყოფა;

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, კომპეტენციის ფარგლებში, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

3. სამოქმედო გეგმით დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელების საკითხი გადაწყვდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებებისა და ორგანიზაციებისთვის „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და შესაბამისი ბიუჯეტებით მათთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



**დამტკიცებულია**  
**საქართველოს მთავრობის**  
**2021 წლის 1-ე მაისის**  
**№ 782 განკარგულებით**

**საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი**  
**ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმა**

<b>ღონისძიების დასახელება</b>	<b>ღონისძიებაზე პასუხისმგებელი უწყება</b>
საზეიმო ღონისძიებისათვის საჭირო ბეჭდვითი მომსახურებების შემენა	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
საზეიმო ღონისძიების დიზაინის; გრაფიკული პოსტერების კოლაჟების; საკომუნიკაციო გეგმისა და ბრიფების უზრუნველყოფა; სოციალური მედიის კამპანიის მართვა	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
სსიპ – ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ღონისძიების შემდეგ პოლონეთის პრეზიდენტის საპატივცემულოდ საზეიმო მიღების უზრუნველყოფა	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
ფიცის დადების საზეიმო ღონისძიება ქ. თბილისში	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

<p>თავისუფლების მოედანსა და საქართველოს ხუთ სხვადასხვა ლოკაციაზე (მცხეთა – ჯვრის მონასტერი, კახეთი – ნეკრესის მონასტერი, ჯავახეთი – ფარავნის ტბა, აჭარა – პეტრას ციხე, სვანეთი – მესტია). გახმოვანების, მონიტორებისა და სადგამების უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში. თავისუფლების მოედანზე ტრიბუნებისა და სცენის აწყობა; სცენის შეფუთვა; შემოქმედებითი ჯგუფის სამუშაოების ანაზღაურება; ფიცის ცერემონიალზე მოსაწვევების დაბეჭდვა-დარიგება; საქართველოს დროშის ფერებში თვითმფრინავის ბოლის შესყიდვა; ვიდეოგადაღებისა და სატელევიზიო პირდაპირი ეთერის უზრუნველყოფა; თბილისისა და რეგიონების გენერატორებით უზრუნველყოფა; თავისუფლების მოედანზე სინქრონული თარგმანის უზრუნველყოფა; აღნიშნული ღონისძიებების დროშებით უზრუნველყოფა</p>	
<p>გენერალ გ. კვინიტაძის ჩამოსვენების ხარჯების</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p>

<p>ანაზღაურება და ჩამოსვენების ღონისძიების უზრუნველყოფა; სამების საკათედრო ტაძრიდან საპატიო გამოსვენების უზრუნველყოფა; შემოქმედებითი ჯგუფის სამუშაოების ანაზღაურება; გახმოვანებისა და პირდაპირი ეთერისთვის სატელევიზიო ტექნიკით უზრუნველყოფა; დროშებით უზრუნველყოფა; წითელი ზონის გამყოფებით უზრუნველყოფა</p>	
<p>გენერალ გ. კვინიტაძის დაკრძალვასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალოს დაკრძალვასთან დაკავშირებული პროცედურების უზრუნველყოფა, კერძოდ: მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვისათვის ადგილის გამოყოფა, საფლავის მოპირკეთება, სარიტუალო მომსახურების გაწევა (სასახლით უზრუნველყოფა, ტრანსპორტით მომსახურება, მიწის გაჭრა და სხვა)</p>	<p>ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია</p>
<p>ღონისძიებების ადგილებში წესრიგის უზრუნველყოფა</p>	<p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</p>

<p>ქ. თბილისში თავისუფლების მოედნის გადაკეტვის უზრუნველყოფა</p> <p>ქ. თბილისში ქალაქის გაფორმება დროშებითა და ბანერებით (მათ შორის, შენობების ფასადების); ღონისძიების ადგილების ჯებირებით უზრუნველყოფა. 26 მაისის ღონისძიების ფარგლებში, მის კომპეტენციაში არსებული სამუშაოების განხორციელება</p> <p>ქალაქების (თელავი, მცხეთა, ოზურგეთი, ახალციხე, ახალქალაქი, ამბროლაური, მარნეული, ფოთი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, რუსთავი) საზეიმოდ მორთვის უზრუნველყოფა დროშებითა და ბანერებით</p> <p>სსიპ – ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ღონისძიების უზრუნველყოფა; სატელევიზიო გადაღებისა და პირდაპირი ეთერის უზრუნველყოფა</p>	<p>ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</p> <p>ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p> <p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p>